ანალიტიკური წერა

I ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქში დიდი წარმატებით სარგებლობს სატელევიზიო გადაცემა „მღერიან ცნობილი ადამიანები“, რომელიც ქალაქის ტელეარხ GBS-ზე გადის ყოველ შაბათს, 21 საათზე. გადაცემის წამყვანია პოპულარული მსახიობი, რომელიც კომედიურ სერიალებში თამაშობს.

ამავე ქალაქში ტელემაუწყებლობამ ABC, რომელიც მუდმივად ცდილობს კონკურენცია გაუწიოს ტელეარხ GBS-ს, მოამზადა ახალი გადაცემა ახალგაზრდებისათვის – ინტელექტუალური ტელევიქტორინა „უპასუხე და გაიმარჯვე“. გადაცემაში, რომელიც იმავე დროს გადის ეთერში, რა დროსაც GBS არხის ტელეშოუ, ერთმანეთს ეჯიბრებიან ქალაქის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზრდები თავიანთ ლექტორებთან ერთად.

მიუხედავად ABC ტელეარხის მცდელობისა, ამ გადაცემამ ორი წლის შემდეგაც ვერ მიაღწია სასურველ პოპულარობას და კონკურენცია ვერ გაუწია ტელეარხ GBS-ის გადაცემას „მღერიან ცნობილი ადამიანები“.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ამგვარი შედეგი.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

სასწავლო პროცესსა თუ სამეცნიერო საქმიანობაში (გაკვეთილების, ლექციების, გამოცდების, კონფერენციების და სხვ. ჩატარება) ვირტუალური საშუალებების გამოყენება არ არის ეფექტიანი.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.